

# უმოქონიბი

2020 წელი

№2


ყველაზე გემრიელი ლიტერატურის პაემანებისათვის





# შოკოლიტ-სარჩევი:





~~ს~~სიხ-~~ვ~~მღერამ  
 იბნა მადლობე



1000  
~~ნ~~ნიჰ-~~მ~~ნიჰს  
 ნიჰ-~~მ~~ნიჰს  
 მანამ ნიღბენი



~~ს~~რხიკვედა  
 დას ტუქიბე


~~ბ~~ნიჰ-~~მ~~ნიჰს  
 მნიჰ-~~მ~~ნიჰს  
 ვასო ბუღენი

~~ვ~~ქიხ-~~მ~~ნიჰი  
 მანი გახედა

მანიჰს ხანიჰს  
 მანიჰს ხანიჰს  
 მანიჰს ხანიჰს




~~მ~~ნიჰ-~~მ~~ნიჰს  
 მანიჰს ხანიჰს




~~ს~~მანიჰს  
 მანიჰს ხანიჰს  
 მანიჰს ხანიჰს



ირმა მალაციძე

# ლიტ-უულურო



„პეპი – ბავშვის ოცნების განსახიერებაა – დაარღვიოს ყველა აკრძალვა, იგრძნოს ძალა და ჩაიღინოს ყველაფერი, რაც აზრად მოუვა. სწორედ ესაა დაუფერებელი წარმატების მიზეზი“, – წერდნენ საბავშვო ლიტერატურის შვედი სპეციალიტები, გრეტა ბულინი და ევა ვონ ცვეიგბერგი, 1948 წელს.

დიახ, ჯერ კიდევ 1948 წელს. როცა თქვენი ბებიები და ბაბუები ალბათ სულ პატარები იყვნენ. ან ჯერ დაბადებულებიც კი არ იყვნენ.

ძალიან გაგიკვირდებათ, როცა გაიგებთ, რომ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი გოგონა, ყველა ბავშვის საყვარელი პერსონაჟი, არც მეტი არც ნაკლები, 75 წლის გახდა. თუმცა, მაინც ცხრა წლის ცელქ გოგონად რჩება.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ასტრიდ ლინდგრენის პატარა გოგონა, კარინი ავად გახდა. რომ არ მოეწყინა, დედას სთხოვა, ერთ პატარა გოგოზე ამბები მომიყვიო.

დედაც იგონებდა სხვადასხვა ამბავს წითურთმიან, უცნაურ გოგონაზე. ამბებმა მოგვიანებით ქალაქში გადაინაცვლეს და 21 მაისს, კარინმა დედისგან „პეპი გრძელწინდას“ ხელნაწერი მიიღო საჩუქრად. სწორედ ეს დღე მიიჩნევა პეპის დაბადების დღედ.

პირველი წიგნი 1945 წლის 26 ნოემბერს გამოვიდა შვედურ გამომცემლობაში **Raben & Sjögren**. ცოტა ადრე ასტრიდმა წიგნი სხვა გამომცემლობას გაუგზავნა, რომელმაც უარი თქვა გამოცემაზე და მერე ძალიანაც ინანა. პეპის სახელი ასტრიდის გოგონამ, კარინმა გამოიგონა. სინამდვილეში, შვედურად მისი სახელი ჟღერს როგორც „პიპი“.

ჩვენი ჟურნალის ეს ნომერი სწორედ პეპის იუბილეს ეძღვნება.

ბავშვებო, მოდით, ყველამ ერთად მივულოცოთ ჩვენს საყვარელ მეგობარს დაბადების დღე.

აბა, ერთი, ორი და საამი!!!!

## პი-ცო-ცაკო, პეპი!



# შეხვეწა

– ერთი, ორი... ლელი,  
მომე შენი ხელი.  
სამი, ოთხი, ხუთი,  
მომიგორე ბურთი.  
– აქეთ მოდი, მაშო,  
ლახტი ვითამაშოთ.  
– ლიკა, მგონი, გვიჯობს  
ერთად ვივარჯიშოთ.  
– აბა, გავხსნათ წარბი,  
აბა, გავხსნათ სახე,  
ყველამ თქვენი მარჯვენა  
ხელი დამანახეთ!  
მკვირცხლად, სულ არ გვიხდება  
ზოზინი და დარცხვენა,  
ანი, ხელი მეორე  
რომელია? – მარცხენა!  
– ექვსი, შვიდი... კარგია!  
ვინ თქვა ჩვენი დალლა?

დამანახეთ ღიმილი,  
ხელები სად? – მაღლა!  
– აბა, ვინ არ მაჩვენა  
მარჯვენა! მარცხენა!  
მარცხენა! მარჯვენა!  
წინმკლავი და განმკლავი,  
არ მოდრიკოთ მუხლი,  
შემოვიდგათ დოინჯი,  
ვითვლი: რვა, ცხრა... ბუქნი!  
კანფეტები დამჯერს,  
ბუქნი კიდევ ცხრაჯერ!  
ყოჩაღ ნუკრი, ლილე,  
ელენე და იავ,  
აბა, სწორდით! ადგილზე  
ნაბიჯით იაარ!..  
მოეფინა ჩვენ ფანჯრებს  
ოქროს ათინათი,  
თავისუფლად! ვარჯიში  
დავამთავრეთ!.. ათი!



ჭუბა-ჭუბა ლექსები

მარიამ ნიკაძე

აბა, ჩქარა!



მივაკითხოთ აბაზანას  
წყალი! პასტა! აბა, ჩქარა!  
ესეც საპნის ქაფია,  
უჰ-უჰ-უჰ, რა კარგია!  
ხელი ხელს ბანს, თითი – თითს,  
ჯაგრისი ბანს კიჭებს,  
რომ ჯანსალი კბილები  
ჰქონდეთ გოგო-ბიჭებს.  
ეს ფაფუკი პირსახოციც  
ყველას ხვდება პირზე კოცნით.  
თან ღიმილით გვესალმება.  
ასე ამბობს: თხუპნია ხარ,  
დაბანა თუ გეზარება!

### განგაში

დედა ხუხუჩიძე

– იცით, ნუხელ რა მოხდა?  
ყველგან ატყდა განგაში:  
ზოოპარკში, პარკებში,  
სოფელსა თუ ქალაქში...

ათ მანქანა სახანძროს  
დაუძახეს სასწრაფოდ!  
სირენებით გარბოდა  
პოლიცია, სასწრაფო...

– რატომ?!  
– სპლიევი ტიროდა,  
ეგ ურჩი და ზარმაცი!  
დედა თურმე ხორთუმიტ  
ბანდა აბაზანაში.



ილუსტრაციები დედა ხუხუჩიძე



# მანათობელი ქვიშები



მზეონას ძალიან უყვარდა ქვიშის ქალაქების აშენება, ბადალი არ ყავდა ამ საქმეში. როცა მის მიერ გამოძერწილ ქვიშის ქალაქს დახედავდით, იფიქრებდით, საცაა ამ ქალაქის ქუჩებში პატარა კაცუნები დაინყებენ სეირნობასო.

ერთ მშვენიერ დღეს ასეც მოხდა. მზეონამ ის-ის იყო, დაასრულა ქუჩის გაყვანა, რომ სასეირნოდ გამოსული პანია კაცუნა შენიშნა. მალე მეორეც დაინახა, მესამეც... ერთი სიტყვით, მთელი გუნდი...

ერთმანეთს ზრდილობიანად მიესალმნენ და მზეონამ გულისფანცქალით ჰკითხა მოსეირნე კაცუნებს:

- როგორ მოგწონთ ქვიშის ქალაქი?
- ძალიან მოგწონს, - გამოეპასუხნენ კაცუნები, - აქ ყველაფერია, რაც ქალაქს სჭირდება, ოღონდ ერთი რამ გვაკლია.

მზეონა გაფაციცდა.

- მაინც, რა გაკლიათ?
- მზე გვაკლია! - უთხრეს კაცუნებმა.
- განა მზე თქვენთვისაც არ ანათებს? - გაიკვირვა გოგონამ.
- ჰო, მაგრამ კარგი იქნებოდა, ჩვენი მზეც გვექონოდა.
- ახლავე გამოვძერწავ! - დაფაცურდა მზეონა და ქვიშა ორივე ხელით მოხვეტა, მაგრამ კაცუნებმა შეაჩერეს.

- უბრალო ქვიშისგან მზეს ვერ გამოძერწავ, ამისთვის ოქროს ქვიშაა საჭირო.

მზეონა შეცბა:

- სად ვიპოვო ოქროს ქვიშა?
- თუ კარგად მოძებნი, აუცილებლად იპოვი. ჩვენ ვერ დაგეხმარებით, ქვიშის ქალაქს ვერ მივატოვებთ.

მზეონას სხვა რაღა დარჩენოდა. ოქროს ქვიშის საძებრად გასწია. ო, რამდენი იარა, მთელი პლაჟი ფეხით შემოიარა. რაღა არ ნახა, რას არ გადაეყარა, ოქროს ქვიშა კი, არა და არ ჩანდა. ისე გაუჭირდა, უფროსებსაც კი სთხოვა დახმარება, მაგრამ როგორც წესი, უფროსებმა სიტყვა ბანზე აუგდეს. ერთმა ისიც კი ჰკითხა, მზემ ხომ არ დაგკრაო. მზეონას მაინცდამაინც არ გაჰკვირვებია მათი საქციელი, არც მოელოდა რაიმე სასიკეთოს.

თითქოს შეუძლებელიც კი ჩანდა ოქროს ქვიშის პოვნა, მაგრამ მზეონამ გულით მოინდომა და ბოლოს იპოვა კიდეც, მიაგნო ნამდვილ ოქროს ქვიშის ბორცვს, რომელიც მზეზე ისე ბრწყინავდა, თვალისმომჭრელ ნაპერწკლებს აბნევდა. საქმესაც მაშინვე შეუდგა... მოხვეტა ოქროს ქვიშა და ბურთივით მოაგუნდავა. მზეც ხომ ბურთივით მრგვალია... მშვენიერი რამ გამოვიდა, ჰგავდა კიდეც მზეს, მაგრამ როგორც კი ხელი შეუშვა, ოქროს ქვიშის მზე დაიშალა და ისევ ქვიშის ბორცვად იქცა.





მზეონამ კვლავ სცადა, უფრო ღონივრად მოაგუნდავა ოქროს ქვიშა. სამწუხაროდ, ისიც დაიშალა. ეს რამდენჯერმე განმეორდა, ყოველთვის უშედეგოდ. გულგატეხილმა გოგონამ კვლავ ქვიშის ქალაქს მიაშურა:

– ბევრი ვეცადე, მაგრამ არაფერი გამოდის, ვერ გამოვიძერწე ოქროს მზე! – შესჩივლა ქვიშის ქალაქის ბინადარ კაცუნებს და ფართოდ გაშლილი ხელები გაუწოდა, იმის ნიშნად, თავი არ დამიზოგავსო.

– ჰოდა, მზეც გამოვიძერწავს! – უთხრეს კაცუნებმა. – თანაც ორი ერთად!

მზეონამ ეჭვით შეხედა მათ, ხომ არ დამცინიანო.

არა, ქვიშის ქალაქის კაცუნები არ დასცინოდნენ.

– ხელებზე დაიხედე, – უთხრეს გოგონას, როცა მისი გაოცება შეამჩნიეს.

დაიხედა მზეონამ და რას ხედავს: ორივე ხელი მზისფრად აქვს შეფერილი! აკი დიდხანს ზელდა და აგუნდავებდა ოქროს ქვიშას, ისიც ხელებზე აჰკვროდა...

ჰოდა, როცა ხელები ფართოდ გაშალა, ხელისგულებმა ისე იწყეს ბრწყინვა, თითქოს ორი პატარა მზეაო.

მზეონა ძალზე ნასიამოვნები დარჩა, ერთ წამში გაუქრა გულგატეხილობა. ორივე ხელი მაღლა აღმართა, თან იმას ფიქრობდა, ამდენ ხანს როგორ ვერ შევამჩნიე, ფართოდ გაშლილი ხელისგული სხივთამფრქვეველ მნათობს რომ წააგავსო.

ქვიშის ქალაქის ბინადარმა კაცუნებმაც სიხარულით შემოსცინეს გოგონას, – ახლა ჩვენს ქალაქს აღარაფერი აკლია, – ერთხმად თქვეს.

მერე ხელები ჩამოუშვა მზეონამ, ასე თქვა, მზე ღრუბლებს მოეფარაო. ძალზე საინტერესო თამაში გამოვიდა, კაცუნებმაც დიდი სიამოვნებით აუბეს მხარი.

იქნებ ოდესმე თქვენც მიგებაძათ მზეონასთვის, თქვენც გეცადათ ოქროს ქვიშისგან მზის გამოძერწვა. მიზანს თუ ვერ მიაღწევთ, მანათობელი ხელისგულები ხომ შეგრჩებათ...



# ბუნების ბუნება

– ეს ცა ჩემია, შენისთანებს აქ, ჩემს სიახლოვეს არაფერი ესაქმებათ, გამეცალე! – კირკიტამ გოროზად გახედა იქვე, შორიასლოს ლალად მონავარდე ბელურას.

– ცა იმოდენაა, ყველას გვეყოფა, ყველას დაგვიტევს, გაგვწვდება და აბა, ამის გამო კირკიტა, როგორ მოვიმდურო, – ფრთები მხიარულად შეაფრთხილა ბელურამ და რახან ცა მართლაც უძირო და უსასრულო იყო, ღრუბლების ქულებს ახლა სხვა მხარეს გაეთამაშა.

იმდენი იქროლა და ინავარდა, სულ მალე დაღლილ-დაქანცულს ფრენის თავი აღარც ჰქონდა, ამიტომ იფიქრა, ცოტა სულს მოვითქვამო და დასასვენებლად მურყნის ხეს მიაშურა. თუმცა, როგორც კი ხეზე შემოსკუპდა, მაშინათვე კირკიტას ხმა გაისმო.

– ეს ხე ჩემია და აქ, ამ ხეზე შენისთანებს არაფერი დარჩენიათ, აქედან დაიკარგე!

– ხეების მეტი რა არის, მურყანზე დავისვენებ თუ ალვაზე, დიდი სხვაობა არც არის, – ძალაგამოლეული ფრთები მაინც ჩვეული სიხალისით შეაფრთხილა ბელურამ და კირკიტას ხათრით ერთიდან მეორე ხეზე დაუზარლად გადაფრინდა.

იმან კი თავისა გააგრძელა.

– შენ რომ შემოსკუპებულხარ, ეგ ტოტი ჩემია! ჰოდა, ახლავე მოშორდი, დაუყონებლივ გაეცალე!

– ჯერ მარტო ამ ხეზე იმდენი ტოტია, საძიძგილაოდ არც ღირს, – ფრთა ჩაიქნია ბელურამ და იქედან ახლა უფრო მსხვილ, თანაც უკეთ შეფოთილ ტოტზე გადასკუპდა, მაგრამ კირკიტამ არც ამჯერად დაანება თავი. მეტიც, ბელურას ბუდესთან მიფრინდა, მის კიდეს თავისი ბასრი კლანჭებით ჩააფრინდა, თვალეები ავისმომასწავლებლად დაუბრიალა და ნისკარტიდან გამოსცრა:

– ეს ბუდე ჩემია, დროზე აიბარგე, ბუმბულ-ლინლიანად გადაიკარგე!

– ცა დიდი იყო, ხე – ბევრი, ტოტები კიდევ იმაზე მეტი, მაგრამ ბუდე?! ბუდე ხომ ჩემთვის ყველაფერია, ეს დალოცვილი მთელს ქვეყანაზე ერთადერთია! – კირკიტას უკმაყოფილოდ შეჟივჟივა ბელურამ.

იღმსებახია ღენა ხმსქიხიძის





იმ იმედით ამ ნამცეცას უცებ შევაშინებო, თვალები წელანდელზე კიდევ უფრო მეტი მონდომებით დააბრიალა კირკიტამ, მაგრამ ნაცვლად იმისა შეშინებოდა, წარბშეკრულმა ბელურამ გულზე მჯილი შემოიკრა და ყურისნამღებად აჟივჟივდა.

– რომ იცოდე კირკიტ, ჩემისთანა პატარას რა არწივივით გული აქვს მკერდში, შენს სიტყვებს უკანვე წაიღებდი, აქაურობას სულ ბოდიშებით აიკლებდი!

ეს რომ კირკიტამ გაიგო, ბელურას გულადობა სასაცილოდ არ ეყო. იცინა და იხითხითა მანამ, სანამ მოძმის დასახმარებლად შეგროვებულმა ბელურებმა ბუმბული სულ ღერა-ღერა არ გაუნენეს.

ამისმერე იქ კირკიტას რაღა გააჩერებდა. ბელურებმა მაჯობესო, ამას რა ათქმევინებდა? ფრთები ერთი შეაფრთხილა და ჰაიდაა! იმ მხარიდან სამუდამოდ გადაიკარგა.

## უხინვეს-ვოხი

1. ჩივი-....., რომელიც ხის ცუდით მოჭრით შეაშინა მედამ;
2. ფრინველი, რომელსაც დეკენდის მიხედვით თბილისის დაარსება უკავშირდება;
3. რად გადაიქცა ანდერსენის ბლავანში იხვის მახინჯი ქუქუდი?
4. ხეკაკუნა ფრინველი, რომელმაც ჩიკვ ნეფე-დელოფადს საჩუქრად ჭია მიართვა;
5. დაუპატიჟებელი სჭუმარი „ჩიკვთა ქონნიდში“;
6. მხცოვანი ჩიკვი „ჩიკვთა ქონნიდის“;

7. რომელმა ფრინველმა გადაარჩინა ნამცეცა ანდერსენის ბლავანში?
8. ბაქარა და...
9. ფრინველი, რომელიც ცეკვით უღოცავს. ბუბუღს იუბიღს (ვაჟა-ფშაველას „ბუნების მგოსნები“)
10. ანდაზის მიხედვით ეს ფრინველი არ გათეთრდება, რაც უნდა ხეხო ქვიშითა;

11. ფრინველთა მეფე, რომელსაც ჩიკვთა ქონნიდში შეზანხობუბული კოდადა აუხირდა.
12. ამ ჩივმა ბლავანის მიხედვით გლეხის მოპარული თავისი ბარცყები გამოიხსნა.

13. პაწანა ჩივი გოდენი ჩოხელი მოთხრობაში;
14. იუბიღანი – ხმაკვბილი მგოსანი;



# აქვანი თავადიან მეოჯახე



როგორც ყველა ზღაპარი, ეს ამბავიც ასე იწყება... ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით იყო ერთი სამეფო, იქ მშრომელი ხალხი ცხოვრობდა – მამაცი მეომრები, მდიდრები, ღარიბები, მხიარული ბავშვები. თითქოს როგორც ყველგან, მაგრამ ამ სამეფოს ერთი უზარმაზარი დრაკონი არ აძლევდა მოსვენებას. ყოველ კვირა გლეხებს თითო-თითო ცხვრის ფარას უნადგურებდა. მასთან შერკინებას კი ვერავინ ბედავდა. მეფეს სხვა გზა არ ჰქონდა – გამოაცხადა, ვინც ამ ურჩხულს მისი სამეფოდან მოაშორებდა, ერთადერთ ასულს ცოლად გაატანდა. ურჩხულთან ერთაბრძოლაში კი ყველა მეომარი მარცხდებოდა. მათ ცეცხლის ალში ახვევდა გამძვინვარებული დრაკონი. ბოლოს მიეახლა მეფეს ერთი მეომარი, რომელიც თავაზიანობით იყო განთქმული. შეჰპირდა, რომ ქვეყანას საშინელი უბედურებისაგან გაანთავისუფლებდა და მაღალი მთებისაკენ გაემართა, სადაც ურჩხული ეგულდებოდა. მიადგა გამოქვაბულს და კლდეზე მიაკაკუნა:

– კაკ-კუკ! მაჰატიეთ, რომ განუხებთ, მაგრამ მნიშვნელოვან საქმეზე ვარ მოსული. დიდი სურვილი მაქვს პატივცემულ ბატონთან სერიოზულად დავილაპარაკო!

ურჩხული ძალიან დააბნია მეომრის ასეთმა საქციელმა, ბურთი გაეჩხირა ყელში, ველარც ცეცხლის ალი ამოუშვა პირიდან! მეომარი კი საუბარს აგრძელებს:

– მართალი გითხრათ, არ ვარ ბრძოლის მომხრე, მაგრამ სამნუხაროდ მომინევს, ასე მოვიქცე და ფიზიკური ტკივილი მოგაყენოთ... რა თქმა უნდა, თქვენ ეს ძალიან გეტკინებათ! როგორ გნებავთ, სად მოგარტყათ შუბი ან ხმალი?! ან იქნებ თავადვე

გადანყვეთ და თქვენივე ნებით გაეცლებით ჩვენს ტერიტორიას! გთხოვთ, დაფიქრდეთ ამაზე! ურჩხულმა გაცემებისაგან თვალები დააჭყიტა, ცოტათი ჩაფიქრდა და ჩაიჩურჩულა:

– გაგეცლებით, რადგან ასე თავაზიანად მთხოვეთ! თუმცა თქვენს ქვეყანაში ბევრი კარგი სასუსნავია, მაგრამ როდესაც ასე თავაზიანად მთხოვეთ, უარით როგორ გაგისტუმროთ. გაშალა ფრთები და მიეფარა ღრუბლებს...



ინნა ხაშვა

### თაგვების ჯავა

თაგვებს თხილის მთა უდგათ, სახლს ახადეს ყავარი. თხილს ვინ გაანაწილებს? ვინ და თაგვი ვარვარი. მეტი მიაქვს თავისთვის, უწუნებენ საქციელს, პირი შეკრეს თაგვებმა, უფროსს ზურგი აქციეს. მაგრამ თაგვი ვარვარი არ იტეხდა იხტიბარს. უფროსი ვარ, ამდენად სხვებზე უფრო დიდი ვარ! ვინ გადაწყვეტს ამ დავას? მოიფიქრეს თაგვებმა: თხილის სწორად დათვლაში კატა დაგვეხმარება.

კალოერი კასკოანძია

### შეძავა, გაიფოხო?

- აფ-აფ, აფ-აფ, - რა ყეფს? ძალღი, კურდღელი თუ მგელი გარბის ტყისკენ. მიაუ, - კნავის კატა, ნალებს ჭამს და თათებს ატანს.  
- კო-კო, კო-კო, ხედავ დედალს, კვერცხი დადო დილის მზედა.  
- ჩუმად! გესმის? ბანი მისცა: ყიყლიყო, - მამლაყინწამ.  
- მუუუუ, - ხბო ზმუის, იქნებ, სიზმრად მიაკითხა დედამისმა.  
- ბეეეე, - კუნტრუმი უყვარს თიკანს, აქეთ მოდი! იქ რა გინდა? ყველას საკუთარი ხმა აქვს:  
- აფ-აფ!  
- მიაუ!  
- მუუუ!  
- კო-კოოო!  
- ბეეეე!  
ჩაგეკეტათ შელობილში, - პატრონს ასე არიგებენ.

კალოერი კასკოანძია

### სისინათეა

ციცქნა ციცინათელა, ღამის შუქურ-ვარსკვლავო, რა დაკარგე ასეთი, ძებნას თავს რომ აკლავო? არ გავუმხელ არავის, დღის შუქი ხომ არ არის? ციცქნა ციცინათელა, ხან ქრები, ხან ინთები, ხელისგულზე დაგისვამ, შორს ნუ გამიფრინდება.




თახტეაწი აოხეაჲ ვესხის





პარიამ წიკოასური

ნიკმ-ნიკმს 1000 ნიკმ-მაკმ



## ვინაა უელოაზე ბევრი?


ადამიანებს, დაბადებისთანავე, სხეულებში გვისახლდებიან უხილავი და უთვალავი მიკრობები: ბაქტერიები, ვირუსები თუ პარაზიტები. ჩვენი და მათი თანაარსებობა აუცილებელია და ჩვენ დღეგრძელობასაც კი განაპირობებს. უჩინარი არსებები ქაოტურად კი არა, ზუსტი კანონზომიერებით არიან გადანაწილებული ორგანიზმში და ადამიანის წონის 3 კილოგრამს შეადგენს. მიკრობები მხოლოდ ავადმყოფობას კი არ იწვევენ, ჯანმრთელობის შენარჩუნებაში, საკვების გადამუშავებაში, სოფლის მეურნეობაში, დედამიწის გამწვანებასა და სხვა სასარგებლო საქმეებში გვეხმარებიან. ციფრ 5-ს რომ 30 ნული მიუწერო, აი, ამდენი ბაქტერიაა დღეისათვის ცნობილი, აბა, სცადე და დაწერე!

## კარგი, ცუდი და ბოროტი მიკრობები

მიკრობებს ცოცხალ ორგანიზმებს ვერც ვუნოდებთ. მათ გამრავლებისთვის ჩვენი ცოცხალი ორგანიზმი სჭირდება. უჯრედში შეჭრილი ვირუსი მტერივით იპყრობს მას, თავის ნებაზე ამუშავებს და ვირუსნარმომქმნელ მანქანად აქცევს.

ადამიანთა მსგავსად მიკრობებსაც აქვთ ხასიათი, ზოგი კეთილი და ზოგიც ბოროტია. კარგი მიკრობები გამოიძუშავებენ ვიტამინებს, მავნე მიკრობებისგან იცავენ ორგანიზმს. ცუდი მიკრობები კი ელოდებიან, როდის დასუსტება სასარგებლო მიკროორგანიზმები და იმუნიტეტი, რომ ორგანიზმს თავს დაესხან და დააზიანონ.

ყვავილი, გრიპი, პნევმონია, ქოლერა, კეთრი, შავი ჭირი, პოლიომიელიტი, ტუბერკულოზი, ებოლა, სარსი, კოვიდ-19, აივ ინფექცია/შიდსი, გრიპი, ჰერპესი, ნითელა, ნითურა ბოროტი ვირუსული ინფექციებია. ნებისმიერ სახელმწიფოს იცავს ჯარი, ორგანიზმს – იმუნიტეტი! თუ თავდამსხმელებმა იმძლავრეს და უჯრედები დააზიანეს, დაგვეწყება ინფექციური დაავადება. რამდენიმე თვეა, დედამიწაზე, უამრავ ქვეყანაში სწორედ ასეთი ბოროტი ვირუსი, კორონა ანუ კოვიდ-19 მძვინვარებს.




# როგორ ვებრძოლოთ ბოროტ მიკრობებს?

ინფექციის გადაცემის ყველაზე მარტივი გზაა ინფიცირებულ ადამიანთან პირდაპირი კონტაქტი. დისტანცირება, კარანტინი, იზოლაცია – დღეს სულ უფრო ხშირად გვესმის ეს სიტყვები, რაც ადამიანთა დაცვის საბრძოლო იარაღია. მიკრობები უსულო საგნებზეც კარგად გრძნობს თავს და დიდხანს ძლებს. საგულდაგულოდ დაიბანეთ ხელები ცხელი წყლითა და საპნით! ჭამის წინ, დახველებისა და დაცემინების, თამაშის, ტუალეტით სარგებლობის, ქუჩიდან შენობაში შესვლის შემდეგ. თუ წყალი და საპონი ხელთ არ გაქვთ, გამოიყენეთ სპირტიანი სველი სალფეთი. ნუ წახვალთ სასწავლებელში, სამსახურში, ბაღში, მეგობრებთან. მოერიდეთ ნაცნობის გადაკოცნას.



არ გამოიყენოთ სხვისი კბილის ჯაგრისი, სავარცხლი, მაკრატელი, პირსახოცი, იქონიეთ საკუთარი თეფში და ჭიქაც. შინ შესვლისას კარგად დაინმინდეთ ფეხები, გაიხადეთ საგარეო სამოსი და ჰაერზე გაფინეთ. არც გაურეცხავი ხილი მიირთვათ! გარეთ გამოიყენოთ პირბადე და ერთჯერადი ხელთათმანები!

შეასრულეთ ექიმების რჩევები! კანონმორჩილება ყოველთვის საჭიროა! თუ გინდათ რომ მალე ისევ ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდეთ, ვიაროთ მეგობრებთან, ვითამაშოთ ეზოებში სტადიონებსა და სკოლის დერეფნებშიც, აღვნიშნოთ დაბადების დღეები და ზაფხულის არდადეგებზეც ხალისიანად გავატაროთ!



## წესრიგოძიანი

თუ არ იბან საპნით ხელებს, ინეპებ და იკრობ ბაქტერიებს, ვირუსებს და ათასობით მიკრობს. თუნდაც იყო ბრძენთაბრძენი, მათ რა დათვლის აბა?! ნურასოდეს მივცემთ ჩვენი დამარცხების საბაბს! თუ არ იცვლი საგარეო ფეხსაცმელს და სამოსს, თუ საჭმელსაც ზეზეულად ჭამ, როდესაც მგზავრობ, თუ მეგობრის ნაღეჭ კევებს შენც ლეჭავ და ბერავ, თუ არ წმენდ და ასუფთავებ ჩანთასა და პენალს, არც პირბადეს იკეთებ და ხელს ყველაფერს ჰკიდებ, ჭკუისკოლოფიც რომ იყო, თავს ხიფათში იგდებ! მოდის როგორც დამპყრობელი, უჩინარი, უხმო, ვირუსია და მსოფლიოს მოსვენებას უფრთხობს! სისუფთავე! დისტანცია! აი, ოქროს წესი! ვირუსების წამალს თურმე ეძახიან „წესრიგს“!





გამარჯობა, ბავშვებო!

ჩვენ განუყრელი მეგობრები – ბამი და ბუკი ვართ. სუდ ერთად დავდივართ და ვცდილობთ, ბუნებას დავეხმაროთ. იკითხავთ, რა დახმარება სჭირდებაო. როგორ არა, სჭირდება! იცით, რამდენი ხე ავადდება ცყეში? ხან ვილაყის დაუდევრობით ხანძარი ჩნდება. ვილაყ ნყადს აბინძურებს, ვილაყ ნაგავს ყრის. რა თქმა უნდა, ასე მოქცევა ძალიან ცუდია. მაგრამ ხანდახან ადამიანები ასე იქცევიან. ამიჯომაც, ჩვენ ვცდილობთ, აღმოვაჩინოთ ასეთი ამბები და ბუნებას დავეხმაროთ. რა გგონიათ, მარცო გვინევს ბუნებაზე ბრუნვა? არა, რა თქმა უნდა. ჩვენი უფრსი მეგობარი, ყოვლისშემძლე ბაბუე ჩვენთანაა. როგორც კი რაიმე გაგვიჭირდება, მას ვუხმობთ ხოდმე. შეგიძლიათ, თქვენც მიილოთ მონანილეობა ჩვენს საქმიანობაში. სადაც ძირს დაყრიდ ნაგავს დაინახავთ, მაშინვე ურნაში ჩაყარეთ. დასუფთავეთ გარემო და ამით საკუთარ თავსაც დაეხმარებით! ახლა კი ჩვენს ამბებს მოუსმინეთ.

ერთხელ ბამი და ბუკი ტყეში ნავიდნენ.

ბამი: – ბუკ, შეხედე, ჩიტის ბარტყი ბუდიდან გადმოვარდნილა.

ბუკი: – უნდა დავეხმაროთ და ბუდეში დავაბრუნოთ.



ბამი: – ძალიან მაღლაა. ვერ ვწვდები!

ბუკი: – მოდი, ყოვლისშემძლე ბაბუეს დავეუძახოთ!



ბაბუე: – ფრთხილად, ჩიტუნა, აღარ ჩამოვარდე.

ბამი: – რა კარგია, ბაბუე, რომ დროულად მოუსწარი.

ბუკი: – ყოვლისშემძლე ბაბუე ყოველთვის დროულად მოდის!



# ბუნების შესწავლა



ბუკი: – შეხე, როგორაა დაბინძურებული წყარო. სადაცაა, დაშრება.

ბამი: – უნდა გავწმინდოთ, მაგრამ როგორ?

ბაბუ: – აბა, მე რას ვაკეთებ, დაგეხმარებით!

ბამი: – რა ანკარა წყაროა!

ბუკი: – როგორ მწყურია!



ბამი: – საბრალო, ნახე, ხაფანგში გაბმულა. ალბათ ბრაკონიერებმა დადგეს ხაფანგი.

ბუკი: – რაღაც უნდა ვიღონოთ. უნდა გამოვუშვათ.



ბამი: – რა საყვარელი ლეკვია!

ბუკი: – გაიქეცი ახლა დედიკოსთან და ამის მერე მარტო აღარ გამოხვიდე ბუნაგიდან.



ჩაითა ჯაჯაშია

# პეპინოსა-პიტუანინა-ხობახინა

(ციკლიდან „მე მიყვარს ასტრიდი“)

მე პეპი ვარ, გრძელინინდა,  
მიცნობდეთ,  
ეს – ბატონი მაიმუნი  
ნილსონი,  
ერთად ვცხოვრობთ უფროსების  
გარეშე,  
სად? – შვედეთის ერთ მშვენიერ  
მხარეში.  
გაიცანით ჩემი ცხენი,  
სახელი  
ვერაფრით ვერ შევურჩიე,  
მერე რა...  
პატარა ვარ, მაგრამ ბევრის  
მნახველი,  
ასოები რიცხვებში თუ  
მერევა  
დიდი რამე... სწავლით თავს ვერ  
მოვიკლავ,  
თვლას და წერას მირჩევნია  
კუნტრუში,  
სტუმრად ველი დღეს ტომსა და  
ანიკას,  
გამოვაცხვე ოცდაათი  
ფუნთუშა.  
ძალ-ღონე მაქვს შესაშური  
ნამდვილად,  
როგორ ვჩხუბობ, ერთი უნდა  
უყუროთ,  
ხეებსა და სახურავზეც  
გავდივარ,  
მიყვარს ჩემი ეზოს მუხის  
ფულურო.  
ჭორფლიანი რომ ვარ, განა  
ნაკლია?!  
ჟღალ ნანწავებს აქეთ-იქით  
ვიკვანწავ.







ყველა წყვილზე თითო წინდა  
მაკლია.

(ტყუილებით ისე გადავიქანცე...)

არ ვიცილებ ჩემს ფრატუნა  
ფეხსაცმელს.

(ვისაც როგორ უხარია –  
ჩაიცვას)

ცომს ყოველთვის იატაკზე  
ვაბრტყელებ,  
რძის ნაცვლად კი ყავასა და  
ჩაის ვსვამ.

ყურს არ ვუგდებ უფროსების  
ლაყბობას,

ვერასოდეს გავცვლი თამაშს  
სწავლაში,

დიდებმა ხომ არ იციან  
გართობა

და არც მუხის ფულუროში  
თამაში;


საუბრობენ მოსულელო  
ამბებზე,

შეიძლება თევზებივით  
დადუმდნენ...

არ არსებობს ჯადოსნური  
აბები,

დიდები რომ ბავშვობაში  
დაბრუნდნენ?!

# იუნიაკენი



იუნიაკენის, ამ უზარმაზარი ზღაპრის მუზეუმის ეზოში ლეგენდარული ასტრიდ ლინდგრენის ძეგლი დგას, რომელთანაც თითქმის ყველა სტუმარი იღებს ფოტოს.

## იუნიაკენი - ბავშვების საოცნებო სამყარო

მსოფლიოში ალბათ არ არსებობს ბავშვი, რომელსაც შვედი მწერლის, ასტრიდ ლინდგრენის წიგნები და მისი დაუვინყარი გმირები არ უყვარს. კარლსონი, პეპი გრძელიწინა და, ყაჩაღის ასული რონია, ემილი და ბევრი სხვა გმირი უკვე რამდენი წელია, მსოფლიოს ბავშვებს ახარებენ. დარწმუნებული ვარ, შენც კითხულობ ასტრიდ ლინდგრენის წიგნებს, ხოლო თუ ერთხელაც იუნიაკენს ეწვევი, ამ წიგნების გმირებთან ერთად უამრავ სახალისო თავგადასავლში თავად მოგიწვეს მონაწილეობის მიღება. დიახ, დიახ, იუნიაკენი – ეს ასტრიდ ლინდგრენის ზღაპრების ცოცხალი სახლია, რომელიც იუგორდენის კუნძულზე, სტოკჰოლმთან ახლოს მდებარეობს. აქ ყველა ბავშვს შეუძლია შეიხედოს სხვენზე მდებარე, პატარა, არეულ-დარეულ ოთახში, სადაც ზომიერად ფერხორციანი კარლსონი ბინადრობს, ითამაშოს პეპის სახლში, შეიჭყიტოს მის სამზარეულოში, ვერანდაზეც გავიდეს და მის ცხენზე ამხედრდეს.





ეს პეპის ვილა „ყიყლიყო“, იგივე „ვილეკულა“. აქ ყველაფერი ნებადართულია. შეგიძლია, შეხვიდე და რამდენიც მოგიწევს, იმდენი ითამაშო. ზუსტად ისეა, როგორც პეპის ნამდვილ სახლში – არავინ დაგიძახებს, გეყოფა თამაში, სახლში მივდივართო, ან ამას ხელს ნუ ახლებ, არ შეიძლებაო. რას არ ნახავთ აქ – პეპის ჩემოდნებს, სკივრებს, მის უზარმაზარ ქუდს, ქვაბებს და ტაფებს თხილამურებს. ვერანდაზე – დაჩეხილ შეშას. და რასაკვირველია, აივანზე შემოსკუპებულ ბატონ ნილსონს, ეზოში კი – პეპის ცხენს. ბავშვებს ძალიან უყვართ იუნიბაკენში დილიდან საღამომდე გართობა და შენ წარმოიდგინე, პეპის მაჭკატების და კარლსონის გუფთის დაგემოვნებაც კი.



იუნიბაკენი წელიწადში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან 300 000 სტუმარს მასპინძლობს. ლეგენდარული მწერალი თავად იღებდა მონაწილეობას მუზეუმის შექმნაში. მისი სურვილი იყო, რომ აქ არა მხოლოდ მისი ნივთების გმირები, არამედ სხვა შვედი მწერლების ნაწარმოებების გმირებსაც გაცნობოდნენ ბავშვები.

გარდა ასტრიდ ლინდგრენის გმირებისა, აქ სხვა შვედი მწერლების გმირებსაც ნახავ, მუმი ტროლის სახლშიც შეივლი, ბოლოს კი უზარმაზარ ნიგნის მაღაზიაში შეივლი და საყვარელ ნიგნებს შეიძენ.

ლოლა ცუცქერიძე

# ხსირველები



ვიცი, რომ ყველა იცნობთ პეპის. აი იმას, სხვადასხვა ფერის წინდები რომ აცვია, წითური, აპრეხიდი კიკინები აქვს და ვიღაც „ყიყიყოში“ ცხოვრობს. ისიც გეცოდინებათ, რომ პეპი ძაღვს ეყვარება და კეთილი გოგოა. ხან უკულმა დადის, ხან ფუსუსუნას ეძებს, ხან მაქვარების ცომს იაფაზე ბედს, ხან კი მთელი ქადაქის ბავშვებს შაქარიანუდის კანფეტებით უმასპინძლებს. ერთი სიტყვით, მასთან ერთად ყოფნა დიდ მხიარულებას ნიშნავს. ჰოდა, რადგან ახლა სწორედ მხიარული განწყობა გვჭირდება, მოდით, მარიონეტი პეპი, ანუ, მოძრავი თოჯინა დავამზადოთ. შეგიძლიათ, მასთან ერთად იყვებით, იხეუნაოთ ან სუდაც, უკულმა იართო.

1. დაგვჭირდება ფერადი ფანქრები, მაკრატელი, ნებოვანი ლენტის, ძაფი, ხის ჩხირი (შეგვიძლია ფანქარიც გამოვიყენოთ), თეთრი მუყაო, ნებო.




2. თეთრი მუყაოსგან გამოვჭრათ პეპის თავი და ტანი.




3. გამოვჭრათ თმაც. რა თქმა უნდა, აუცილებლად წითური და აუცილებლად აპრეხილი კიკინებით! დაუხატოთ სახე (ჭორჭორი არ დაგავიწყდეთ) და „ჩავაცვათ“ ტანსაცმელი. მე ფერადი ფანქრებით ასეთი „ჩავაცვი“.




4. ახლა გავამზადოთ ხელები და ფეხები. ამისთვის საჭიროა ვინრო, 1სმ-მდე სიგანის ფერადი ქაღალდისგან გამოჭრილი ლენტები. ხელებისთვის დაგვჭირდება ერთი ფერის ოთხი ცალი ლენტი, ფეხებისთვის – ორი ფერის ოთხი ცალი ლენტი. მიხვდით ხომ? პეპის ხომ ცალ-ცალი, სხვადასხვა ფერის წინდები უნდა ეცვას. დავანებოთ ერთმანეთს ორი ლენტი ისე, როგორც ფოტოზეა ნაჩვენები და დავწნათ.



5. ერთი ლენტი ავკეცოთ მეორე ლენტზე, შემდეგ მეორე ლენტი გადმოვკეცოთ პირველ ლენტზე. ბოლომდე გავაგრძელოთ გადაკეცვა. ასე გადავკეცოთ მეორე წყვილი ერთი ფერის ლენტი. ნახეთ, როგორი „გარმონები“ გამოვიდა?! ზუსტად ასეთივე „გარმონები“ გააკეთეთ დანარჩენი ლენტებისგან. გამოვივით ორი სხვადასხვა ფერის „გარმონი“.



6. „გარმონები“ მივანებოთ პეპის ტანს. მოვჭრათ ორი თანაბარი ზომის ძაფი. ძაფები წებოვანი ლენტით დავამაგროთ (ან უბრალოდ, გამოვკვანძოთ) ჩხირის თავსა და ბოლოში. ძაფის თავისუფალი ბოლოები წებოვანი ლენტით მივამაგროთ პეპის „თითებს“.



7. მორჩა, პეპი მზადაა! ახლა მართლა შეგიძლიათ მასთან ერთად იცეკვოთ, იხტუნაოთ და უკუღმაც იაროთ.

ჰო, არ დამავინწყდეს. ამ პრინციპით შეგიძლიათ პეპის საუკეთესო მეგობრები, ტომი და ანიკაც გააცოცხლოთ. ოთხივე ერთად ხომ უფრო მხიარულად ითამაშებთ!





ვასო  
გულოყუნი

# სახეშეო მკულინარია

## მხალოყული

საამური სანახავია, სიმწვანე რომ მოედება მიდამოს, ყვავილები რომ აყვავდება და მინდვრები ათასფერად აჭრელდება. თუმცა, ამწვანებული და აყვავებული ბუნება თუ გინდა ნახო, ქალაქში გაგიჭირდება – სოფელში უნდა წახვიდე. მართლაც, რა სჯობია სოფელს. იქ ხომ ბებიები და პაპები ასე მოუთმენლად ელოდებიან თავის შვილიშვილებს.

რამდენი რამეა სოფელში სანახავი, რასაც ქალაქში ძნელად თუ ნახავ. პირველ რიგში კი, მაინც ბუნებასთან სიახლოვე – რამდენი მცენარე და ყვავილია, რომელიც შეიძლება მხოლოდ წიგნებში გაქვს ნანახი, რამდენი ფრინველი და ცხოველიც...

იცი, რომ გაზაფხული კულინარული თვალსაზრისით იმითაც გამოირჩევა, რომ უამრავი მცენარეული კერძის მომზადება შეიძლება? ალბათ, გაგიკვირდება, ამ მცენარეებს თუ ჩამოგითვლი – მაგალითად, ჭინჭრის მხალი ან ჭინჭრის შეჭამანდი თუ გაგისინჯავს? ისპანახის მხალი, ალბათ, იცი, მაგრამ ჭარხლის ფოთლის? ჯერ მარტო სახელები ნახე: სატაცური, დანდური, მჟაუნა, კეჟერა... და ნაცარქათამა? მგონი, ეს მცენარე არც გაგიგია. არადა, უგემრიელესია!

ჭინჭრის მხალს გასწავლიდი, მაგრამ ვიცი, ჭინჭარს ერიდები – ხელე-ბი არ დაგისუსხოს. ამიტომ, ჭინჭრის მხალი უფროსებს მივანდოთ, ისინი ფრთხილად მოამზადებენ. შენ კი, ნაცარქათამაზე მინდა გიამბო და მისი მხალიც მოვამზადოთ.

თავად სახელიც როგორი ლამაზია, არა? საკუთარ თავზეც უკვე გეუბნება – რალაციით ქათამთანაა დაკავშირებული და ნაცარიც შემთხვევით არ უნდა ერიოს. მართლაც, მისი ფოთლები ქვემოდან ისეა დაფიფქული, გეგონება, ნაცარი მიუყრიათო. ქათმებს კი ძალიან უყვართ საკვებად. ან რატომ არ ეყვარებათ – ნაცარქათამა ხომ ცილას, რკინას, მაგნიუმს, ნახშირწყალს და ცხიმსაც კი შეიცავს.

ნაცარქათამა ბალებში, ბოსტნებში, ნათესებში და გზის ნაპირებზეც იზრდება. ჯერ კიდევ ქორფა, თხელი ფოთლები უნდა დაიკრიფოს. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, კარგად უნდა გაირეცხოს. მერე მარილწყალში მოვხარშოთ, სანურზე გადავიტანოთ და გავაგრილოთ.



# ჩვეულებები

კარაქში მოვშუშოთ ხახვი. უკვე გაგრილებული ნაცარქათამა დავკეპოთ და ხახვს დავამატოთ. ცოტა ხანს კიდევ ვშუშოთ, ბოლოს კი წვრილად დაჭრილი ქინძი დავამატოთ. სულ ესაა – ეს ყველაზე მარტივი და ერთ-ერთი ყველაზე გემრიელი რეცეპტია.

დარწმუნებული ვარ, ბებოს ძალიან გააკვირვებ, ნაცარქათამას მომზადება რომ გეცოდინება. თუმცა, თუ თავდაპირველად ცნობა გაგიჭირდეს, მონყვიტე რამდენიმე ტოტი და შეეკითხე – ეს რა მცენარეაო... ამის მერე კი, შეგიძლია შენი კულინარული ხელოვნებაც გამოაჩინო.

## ჩა დახატა ბაქარა

ხატვას იწყებს ბაქარი,  
მოიმარჯვა ფანქარი.  
დახატა და ნაშალა  
დაკლაკნილი გზა-შარა.


სახლის გვერდით ბაღია,  
იქვე – ჭაა თავლია.  
ჭასთან სხედან ქათმები,  
ბაღში მოჩანს ატმები.

მერე – დიდი სახლი და  
გზაც დახატა ახლიდან.  
გზასთან – ლობეებია,  
გზაზე მიდის ბებია.

ბაღთან ძროხა აბია  
და ბავშვები დარბიან.  
დააკვირდით, აქ არის  
თვითონ ჩვენი ბაქარიც...

თურმე, იმას ხატავდა,  
რაც გულში აქვს ნატვრადა.  
სოფელი და ბებია  
როგორ მონატრებია.





# პეპი ეკიანაძე

პეპი მსოფლიოს ყველა ბავშვის საყვარელი პერსონაჟია და რა გასაკვირია, რომ მასზე უამრავი ფილმი გადაღებული. ამ უცნაური, ნითელითმიანი გოგოს ეკრანზე გამოჩენა დიდ სიხარული იყო ყველა თაობის ბავშვებისათვის, ვინც 60-იანი წლებიდან დღემდე სხვადასხვა ეკრანიზაციას უყურებდა.



პეპის ახალი ეკრანიზაციის გადაღება იგეგმება დიდ ბრიტანეთშიც. მას კინოკომპანია **Studiocanal** და **Heyday Films** გადაიღებს, რომელსაც დათუნია პად-ინგტონის შესახებ ფილმები აქვს გადაღებული.

1988 წელს კომპანია **Columbia Pictures**-მა გამოუშვა ამერიკულ-შვედური მუსიკალური კომედია – „პეპი გრძელიწინდას ახალი თავგადასავლები“ (რეჟისორი კენ ანაკინი), რომელშიც პეპის როლს ტამი ერინი ასრულებდა. გოგონას ბუნებრივად წითური თმა ჰქონდა, თუმცა გადაღებებისთვის კიდეც უფრო წითლად შეუღებეს. პეპის როლზე 8000-მა გოგონამ გაიარა ქასტინგი. ტამი ერინს კი ეს როლი, არა მხოლოდ თმის ფერის გამო ერგო, არამედ იმიტომაც, რომ კარგად მღეროდა, ცეკვავდა, სპორტული ტანვარჯიშით იყო დაკავებული და ცხენზე ჯირითობდა. ფილმში შეცვლილია რამდენიმე სახელი. მაგალითად, პეპის ცხენს ალფონსო ჰქვია, მაიმუნი მისტერ ნილსონი – მისტერ ნელსონად იქცა. აგრეთვე შეცვლილია ტომის გვარი – სეტერგრენის ნაცვლად – სეტიგრენი. ფილმი 18 ენაზე გამოვიდა. გადაღებები ფლორიდაში მიმდინარეობდა.



ასტრიდ ლინდგრენი და ინგერ ნილსონი რეჟისორ ოლე ჰელბუმის ფილმის „პეპი გრძელიწინდას“ გადაღებაზე.







1969 წელს შვედმა რეჟისორმა ოლე ჰელბმმა გადაიღო ტელესერი-ალი „პეპი გრძელიწინდა“. სერიალის შვედური ვერსია 13 სერიანია, ხოლო გერმანული – 21 სერიანი. მთავარ როლს ინგერ ნილსონი ასრულებდა, რომელსაც მართლაც ისეთი წითური თმა ჰქონდა, როგორც პეპის.



ფილმ-ზღაპარი „პეპი გრძელიწინდა“ 1984 წელს რეჟისორმა მარგარიტა მიქაელიანმა გადაიღო კინოსტუდია „მოსფილმი“.  
 პეპის როლს ფილმში სვეტლანა სტუპაკი ასრულებდა, ტომის და ანიკას როლებს კი სვეტლანა შელოვა და ფედორ სტუკოვი. ფილმში ცნობილი საბჭოთა მსახიობებიც იყვნენ დაკავებულნი, მაგალითად ტატიანა ვასილევა, ლევ დუროვი, მიხეილ ბოიარსკი.



სვეტლანა სტუპაკი (პეპი) და მიხეილ ბოიარსკი (პეპის მამა)



შენ იცი, რომ არსებობს ისეთი სიტყვები, რომელთა „მფლობელი“ შეიძლება მხოლოდ ერთი ადამიანი იყოს? ანუ, მათ მხოლოდ ერთი ადამიანი ამბობდეს.

აბა, გაიხსენე, ბავშვობაში ასეთს არაფერს ამბობდი? თუ არ გახსოვს, სასწრაფოდ ჰკითხე მშობლებს!

**ფუსუსუნა** – პეპის გამოგონილი სიტყვაა. თუ წიგნს ჩახედავ, ამ ეპიზოდზე განსაკუთრებით იცინებ. პეპი დიდხანს, დიდხანს ეძებს ფუსუსუნას, და, ბოლოსდაბოლოს, ერთ საყვარელ ხოჭოს აღმოაჩენს. კარგი სიტყვაა არა?

ასტრიდ ლინდგრენის პეპი ხომ იცი? მხიარული, წითელთმიანი გოგონა, კეთილი, მამაცი, გულგრილი და სამართლიანი? მისი პირადი ლექსიკონის რამდენიმე სიტყვა ხომ არ გაგახსენო?

**დილექტორი** – დირექტორი გგონია? არა, დილექტორი დირექტორი სულაც არაა, გაინტერესებს, რა არის? მაშინ სასწრაფოდ უნდა წაიკითხო ასტრიდ ლინდგრენის „პეპი გრძელწინდა“!

**გავალების ტაბულა** – დიახ, დიახ, ეს გამრავლების ტაბულაა, როგორც იცი, პეპის სკოლაში სიარული დიდად არ მოეწონა (მხიარულების სკოლას თუ არ ჩავთვლით), ამიტომ ამ სიტყვის სწორად თქმაზეც არ შეუწუხებია თავი.




# ზალოკოს ხატვის გაკეთილები



ზალო სულავეაური

## გაგზავთ პეპი



# მკაცრობა



მაკა ლდოკონენი

ყველაფერი პეპის შესახებ  
 მე გახლავართ პეპიდოცა ვიქცუადი  
 რუღგანდინა, კაპიჯან ეფნაიმ გრძედინდას,  
 ზღვების ყოფიდი რისხვისა და ზანგების  
 ახლანდელი მეფის ასული!

## პეპი არაპიანქის გარეგანი უნარო ოსტატია!

### როგორ გამოიყურება პეპი?

პაჭუა, ჭორფლით დანინკლული ცხვირი, ყურებამდე გახეული პირი და თეთრად მოელვარე კბილები აქვს. თუმცა ყველაზე მეტად ლაჟღაჟა სტაფილოსფერი თმა და ორი, აქეთ-იქით აკვანული ნანნავი გამოარჩევს. ძირითადად თავისივე შეკერილი, ნაკუნებჩადგმული ლურჯი კაბა აცვია და მუხლებამდე წინდები: ერთი ყავისფერი, მეორე შავი. უზარმაზარ შავ ფეხსაცმელს კი ისე მიაფრატუნებს, იფიქრებთ, სადაცაა გაძვრებაო. ეს ფეხსაცმელი მამამ უყიდა, რომ გაიზრდება მერე ჩაიცვამსო, მაგრამ პეპიმ დროზე ადრე მოირგო, იმიტომ რომ „მათში ცერებს თავის გემოზე ამოძრავებს.“

### ვის არიან პეპის ოჯახის წევრები?

პეპი ერთი ციცქნა გოგონა იყო, დედა როცა გარდაეცვალა. დარწმუნებულია, რომ დედამისი ანგელოზია, ცაში ცხოვრობს და ჭუჭრუტანიდან უცქერის, ამიტომ ხშირად მაღლა იხედება, ხელს უქნევს და ამშვიდებს: ნუ გემინია, დედა, მე არ დავიკარგებიო!

პეპის მამა ეფრაიმ გრძელწინდა შორეული ზღვაოსნობის კაპიტანია, ზღვებსა და ოკეანეებს ხომალდით სერავს. ერთხელ ის ქარიშხალმა გაიტაცა და შავკანიანთა კუნძულზე გარიყა. შავკანიანებმა პეპის მამას თავზე ოქროს გვირგვინი დაადგეს და თავიანთ მეფედ აღიარეს. მამის სამფლობელოს პეპიმ მხიარულების კუნძული შეარქვა.

ყვითელ ქურთუკსა და ლურჯ შარვალში გამოწყობილი, თავზე თეთრქუდჩამოფხატული კაპიტანი ნილსონი მაიმუნი გახლავთ. ზღვაში თუ ხმელეთზე ის პეპის განუყრელი თანამგზავრია და ძალიან უყვარს გოგონას მხარზე ჯდომა.

ცხენიც პეპის ოჯახის სრულუფლებიანი წევრია. როდესაც პეპი გემზე იყო, სულ საკუთარ ცხენზე ოცნებობდა, ამიტომ განსაკუთრებულად უვლის მას: ხელში აყვანილი აჰყავს ღამღამობით ტერასაზე დასაძინებლად, დილით კი ეზოში საბალახოდ ჩამოაცუნცუნებს ხოლმე (პეპი ხომ ძალიან, ძალიან ღონიერი გოგოა)!

### პეპის სუარყოფით თვისებებს + პეპის ღაღებით თვისებები = პეპის ორიგინალურობას

- \* სკოლაში არ დადის;
- \* წერა-კითხვა და ანგარიში არ იცის;
- \* საზოგადოებაში მიღებულ წესებს არ იცავს;
- \* არავის და არაფერს ემორჩილება;
- \* უყვარს ტყუილები;



- \* სხარტია;
- \* სამართლიანია;
- \* კეთილია;
- \* გულუხვია;
- \* პატარების და სუსტების ქომაგია;
- \* უანგარო მეგობარია;

# პეპის გახეობა ნაგრიანი თავბარასკანი რქა!

## პეპის ცნობილი გამოხატულებები:

- \* თუ დღეს არ ნახვედი, ხვალ ვერ მოხვალ!
- \* რა ვქნა აღარ ვიცი, ამ ჩემს ტყუილების გუდას თავს ვერ ვუკრავ!
- \* ძალიანაც კარგად ვიცი წერა და თუ ასოები არ მეყო, ავდგები და ციფრებს დავწერ!
- \* ერთხელ უკვე ვიყავი სკოლაში მთელი დღე და იმდენი ცოდნა შევიძინე, აქამდე თავგზააბნეული დავდივარ!
- \* ისე კარგად ვიტყუები, მოსმენა მსიამოვნებს!
- \* ნამდვილი მანდილოსანი მაშინ იჩიქინს ცხვირს, როცა არავინ უყურებს!



## მოგსაურობაში დაგროვილი სიბრძნე

- \* ბრაზილიაში ისე არავინ გავა სახლიდან, თავზე კვერცხი თუ არ წაისვა;
- \* არგენტინაში ბავშვებს საშინაო დავალების შესრულებას უკრძალავენ, ამიტომ ჩუმად იპარებიან კარადაში გაკვეთილების სასწავლად;
- \* ერთ სკოლაში კანფეტების ფაბრიკიდან საგანგებო მილია გაყვანილი და მოსწავლეები მთელ დღეს კანფეტებს აკნანუნებენ;
- \* სამხრეთ აფრიკაში ბავშვს სიცხე თუ აქვს, ჭაღზე ჩამოკიდებენ და მანამდე აქანავენ, ვიდრე არ გამოჯანმრთელდება;
- \* დიახ ასეა: პატარებმა დადგენილი წესით უნდა იცხოვრონ და ეს წესი თავად მათი შემოღებული უნდა იყოს!




## ვილა თელოფოში ცხოვრების წესები

- პეპი მამის ნაყიდ ვილა „ყიყილიყოში“ თავის ნებაზე ცხოვრობს:
- \* ძილის დროს ფეხები ბალიშზე უწყვია და თავზე საბანი აქვს წამოფარებული;
- \* ცომს პირდაპირ იატაკზე აბრტყელებს და ჭრის;
  - \* ქვავს ქოლგის ტარით ურევს;
- \* დალაგების დროს ერთ ქვავ ადუღებულ წყალს იატაკზე წამოაპირქვავებს ხოლმე, თავის უზარმაზარ ფეხსაცმელს პურის თეფშზე დაანყობს, ტერფებზე ჯაგრისებს წამოიცვამს და თითქოს ციფურებიანო, სრიალს იწყებს.

# პეპის გვიხრით ყველაზე გახეობიანი მონქაჯი რქა!

შევსე ერთკვანძო ისე, რომ წითელ უჯრებში მიიღო სიყვავა „**პეპი გრძელნიხდა**“



**პონიზონცადურა:**

1. ვინ იყო პეპის მამა?
2. ვინ იყო პეპის დედა?
3. რა ერქვა დიდყურა ჩინელის, ხაი-შნის უმცროს შვილს?
4. რომელ ცეკვას სწავლობდა პეპი, როცა მის სახლში ქურდები შევიდნენ?
5. რომელ ქვეყანაში იძინებდნენ, როგორ პეპი?
6. რისი კისელი უყვარდა პეპის?
7. ვინ იყო ადოლფი?
8. რამდენმეტრიანი იყო გველი, რომელსაც, პეპის თქმით, ის ინდოეთში შეებრძოლა?
9. რა აჩუქა პეპიმ მასწავლებელს?
10. პეპის თქმით, რომელი ქვეყნის სკოლაში არ აძლევდნენ მოსწავლეებს საშინაო დავალებას?
11. რა ფერის თმა ჰქონდა პეპის?
12. რა ერქვა პეპის ვილას?

13. მოხუცი, მდიდარი ქალი, რომელიც ბავშვებს საჩუქრებს ურიგებდა.
14. რა თამაშს ეთამაშა პეპი პოლიციელებს?
15. კვირის რომელ დღეს ამტვრევდა ჭურჭელს მალინი?
16. პეპის მაიმუნი, ბატონი...
17. პეპის თქმით, მისი ბებიის შინამოსამსახურე გოგო, სახელად...
18. ბიჭი, რომელსაც ვილეს დაჩაგვრისათვის პეპიმ ჭკუა ასწავლა.


**ვერცხვადურა:**


1. ბიჭი, რომელსაც პეპი გამოექომაგა.
2. ბიჭი, რომელიც პეპიმ მხიარულების კუნძულზე გაიცნო.
3. რა ერქვა დიდყურა ჩინელს?
4. რა ერქვა პეპის მამის ხომალდს?





# აღწ-გენის იმეტიანი მწეაან იმა მაანსიძესთა





-  – რომელი იყო წიგნი, რომელიც პირველად წაიკითხეთ დამოუკიდებლად?


– ასტრიდ ლინდგრენის „პეპი გრძელიწინდა“.
-  – თქვენი საყვარელი სამი საბავშვო მწერალი.


– ასტრიდ ლინდგრენი, ჯანი როდარი, არჩილ სულაკაური.
-  – თქვენი საყვარელი სამი საბავშვო წიგნი.


– ლინდგრენის „პეპი გრძელიწინდა“, არჩილ სულაკაურის „ჯადოსნური კაბა“, ჯანი როდარის „ჩიპოლინოს თავგადასავალი“.
-  – როდის დაწერეთ თქვენი პირველი საბავშვო წიგნი და რომელია ის?


– ჩემი პირველი წიგნი „სატკბილეთის ქვეყანა“, რომელიც 1998 წელს დაწერე და ჩემს უფროს გოგონას მიუძღვენი. წიგნად 2004 წელს გამოიცა. იქამდე კი საბავშვო გაზეთ „12+“-ში დაიბეჭდა გაგრძელებებით. გასულ წელს წიგნი ხელახლა გამოიცა ახალი რედაქციით.
-  – თქვენი ნაწარმოებებიდან რომელია ყველაზე საყვარელი?

– „ლოკოკინა, სახელად ქერამუჭა“ და „სატკბილეთის ქვეყანა“.
-  – როგორ იგონებთ პერსონაჟებს?

– ხან როგორ, ხან როგორ. ხშირად პატარები მანვდიან ხოლმე იდეებს. ან რაიმე სიტუაცია მკარნახობს. ყოველთვის სხვადასხვაგვარად ხდება.
-  – სულ რამდენი საბავშვო წიგნი გაქვთ დაწერილი?

– თუ ელექტრონულ წიგნებსაც ჩავთვლით, ალბათ 40-მდე.
-  – ახალ წიგნზე თუ მუშაობთ?

– კი, ვმუშაობ. ვწერ წიგნს ერთ პატარა. უცნაურ ბიჭზე, რომელიც სხვებს არ ჰგავს. ამ წიგნს ჩემი პატარა შვილის, მათეს ნახატებით გავაფორმებთ. მით უმეტეს, რომ მთავარი გმირი სწორედ ისაა.
-  – თქვენი ზღაპრების გმირებიდან რომელია ყველაზე კეთილი?

– ბევრი. ემეტესობა კეთილია. კეთილია კარამელიუსი, მარმელადინა, კეთილია მგელუკა, დეიდა კოკრიკო. კეთილია სევდია, ფიქრია, ფიჭიკო, თაფლია. რომელი ერთი გითხრათ.
-  – რის წაკითხვას გვიჩვენებთ პატარებს?

– გირჩევთ წაიკითხოთ ასტრიდ ლინდგრენის, ჯანი როდარის, ჰანს-ქრისტიან ანდერსენის, არჩილ სულაკაურის წიგნები. კიდევ ბევრი მწერალია, რომელიც მინდა, რომ გაიცნოთ, მაგრამ ამით დაიწყეთ.

**მთავარი შოკოლიტელი:** ირმა მალაცაძე  
**შოკოლიტმცოდნე:** მარიამ ნიკლაური  
**დანარჩენი შოკოლიტელები:** ლელა ცუცქერიძე, ვასილ გულეური, რობერტ მესხი, დიანა ანფიმიადი, გივი ჩიღვინაძე, ნინო სადღობელაშვილი  
**შოკ-დიზაინერი:** ნიკა ხვედელიძე



ISSN 2587-4888

ყურნალი გამოდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით

საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდი „ლიბო“  
 ელ-ფოსტა: [jurnali.Shokoliti@gmail.com](mailto:jurnali.Shokoliti@gmail.com)



საპარტეზლოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო



მეცნიერების სამსახური



# წიგნის ჭია-ვანა

## ახალი წიგნები

ყველასთვის საყვარელი საბავშვო ავტორის, ვასო გულეურის სიყვარულით სავსე ლექსები – „ნეტავ, მალე გავიზრდები?!“

მხატვარი: ირინა ცინცაძე

ყდის დიზაინერი: სალომე საბანაძე

გამომცემლობა „პალიტრა L“



„ბუბუსიკას თავგადასავალი და ბევრი სხვა საინტერესო ამბავი“ ბავშვებსა და მშობლებს საოცარ და მრავალფეროვან სამყაროში მოგზაურობას ჰპირდება.

ფსიქოლოგი ლელა ბექაურის რჩევები და სავარჯიშოები მშობლებს დაეხმარება, ჩანვდნენ შვილების იდუმალ სამყაროს. მაიკო გოგსაძის „საინტერესო ამბავი“ პატარებს ენციკლოპედიურ ცოდნას შესძენს, ნინო კიკვაძის ლექსები პოეზიის საინტერესო სამყაროში ამოგზაურებს, ანა გოგორიშვილის თბილი და საყვარელი ნახატები ბავშვებს ცხოვრებას გაუფერადებს, ქეთი იაშვილის პიესა თეატრის სამყაროს აზიარებს. ქეთი მუჯირის მოთხრობები კი, იმედია, კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. ბევრი ნაცნობ გარემოში მოხვდება და პერსონაჟებში საკუთარ თავსაც ამოიცნობს.

„სპილო გრანდი და სხვა მოთხრობების“ ავტორი, ნინო კაპანაძე – სამოქალაქო განათლების ტრენერი და ახალი სკოლის მოდელის ექსპერტია. მან შესანიშნავად იცის მოსწავლეების საჭიროებანი და ისეთი ტექსტები შეიტანა თავის წიგნში, რომლებიც ზუსტადაა გათვლილი 6-7 წლის ასაკის ბავშვებზე. მათზე, რომლებმაც ცეს-ესააწერა-კითხვა ისწავლეს და მის განმტკიცებას ცდილობენ. მასწავლებლებს შეუძლიათ კრებულში თავმოყრილი მოთხრობების კლასგარეშე საკითხავად გამოიყენონ. ტექსტები ითვალისწინებს ასაკობრივ უნარ-ჩვევებსა და შესაძლებლობებს, ხელს უწყობს კითხვის უნარების განვითარებას. მოთხრობების შინაარსი იძლევა დისკუსიების ადვილს შესაძლებლობას. ყველა მოთხრობა ეხმიანება ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებს და წარმოადგენს რესურსს ისეთი საკვანძო კომპეტენციების განვითარებისთვის, როგორცაა: კრიტიკული აზროვნება, მენარმეობა, გარემოზე ზრუნვა, პრობლემის მოგვარების გზების ძიება და სხვა.



შპსი ვ ლკი

ISSN 2587-4888



9 772587 488007